პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

____ დეკემბერი, 2019 წელი ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების იჯარის უფლებით უფლებით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებულ, ბათუმის ზღვისპირა პარკის და პლაჟების ტერიტორიებზე განთავსებული ჯიხურების მიერ დაკავებული, სულ 224 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 14 მიწის ნაკვეთის (თანახმად დანართისა) შპს "Georgian Industrial Asset Management Group"-სათვის (ს.კ. 445400664) პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე.

2. წინამდებარე განკარგულების პირველ პუნქტში მითითებული უძრავი ქონების წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს სულ 12880,0 (თორმეტი ათას რვაას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4 . წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე სულიკო თებიძე

დანართი

14 ჯიხურის განთავსების ადგილები				
##	მისამართი	მიწის საკადასტრო კოდი, რომელზეც განთავსებულია ჯიხური	ჯიხურის მიერ დაკავებული მიწის	წლიური საიჯარო ქირა (ლარი)
1	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკის ტერიტორია	05.22.01.074	16	1000
2	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკის ტერიტორია	05.21.20.013	16	800
3	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პლაჟის #35 სექტორი	05.21.02.042	16	880
4	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პლაჟის #33 სექტორი	05.22.01.013	16	920
5	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი	05.23.03.012	16	960
6	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი	05.22.01.081	16	960
7	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი, (პლაჟი)	05.23.02.027	16	920
8	ქ. ბათუმი, ზღვისპირა ბულვარის ტერიტორია, #21 სექტორი	05.23.04.023	16	920
9	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი, (პლაჟი)	05.23.04.612	16	920
10	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი, (პლაჟი)	05.24.02.118	16	920
11	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკი, (პლაჟი)	05.24.02.118	16	920
12	ქ. ბათუმი, ზღვისპირა პარკის ტერიტორია	05.22.01.074	16	1000
13	ქ. ბათუმი, კაჩინსკის ქუჩა	05.32.12.235	16	920
14	ქ. ბათუმი, ახალ ბულვარი 2 ტერიტორია	05.32.14.107	16	840
		სულ	224	12880

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში სსიპ ,,ბათუმის ბულვარი"-ს 2019 წლის 25 ნოემბრის #01-11/1007 (#30275/25) წერილით წარმოდგენილი იქნა შპს ,,Georgian Industrial Asset Management Group"-ის (ს/კ 445400664) 2019 წლის 13 ნოემბრის N29/11 კორესპონდენცია, რომელიც ითხოვს ქ. ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე შპს „Georgian Industrial Asset Management Group"-ის საკუთრებაში არსებული 14 (თოთხმეტი) ერთეული სავაჭრო ჯიხურების განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთების იჯარით სარგებლობაში გადაცემას. საკითხთან დაკავშირებით 2019 წლის 27 ნოემბერს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ასევე წარმოდგენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს #03/1196 (#30516/25) წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ რეგიონში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისა და ტურისტულად აქტიურ ადგილებში მისი პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „Georgian Industrial Asset Management Group"-ზე, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაცემულ იქნას შესაბამისი სარეალიზაციო ადგილები.

შპს ,,Georgian Industrial Asset Management Group"-მა 2019 წლის 04 დეკემბრის N35/12 (#31210/25) წერილით მომართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა 14 (თოთხმეტი) ერთეული საცალო რეალიზაციის სავაჭრო ჯიხურების განთავსების მიზნით ბულვარის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების 2 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაცემა, სადაც განხორციელდება გაგამგრილებელი წვენების, საღეჭი რეზინების, ორცხობილების და სხვა პროდუქციის რეალიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მიზანშეწონილად მიიჩნევს შპს ,,Georgian Industrial Asset Management Group"-ს 2 წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით სარგებლობაში გადაეცეს ხსენებული მიწის ნაკვეთები და სარგებლობის წლიური საფასური განისაზღვროს 12880,0 (თორმეტი ათას რვაას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს ,,Georgian Industrial Asset Management Group"-ისათვის სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის განხორციელება დადებითად აისახება ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე - სარგებლობის ვადის განმავლობაში მოიჯარის მიერ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ქირის სახით განხორციელდება 25760,0 ლარის შეტანა.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი";

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

შპს „Georgian Industrial Asset Management Group"; სსიპ „ბათუმის ბულვარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი დავით კოპინაძე